

852 ს 15605



საერგოიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 1 თებერვალი 2006 №21 (2643)

ფასი 50 თეთრი

პაროიზი უჩეეოდ?

ტოპეიტოლარი ამბობს იბას, რატ ყველაშ ვიცოდით: ჩეეი იქ ყოფნა ქალიან მნიშვნელოვანია




გათავდა კასი ტრაბედია შერის ბაღში



ნავედი

ალანია
ბიორბი
დემეტრაქე
მაკაბიში
გაუშვა

ფოტო
მუხამადი



სიხარულია თუ ტკივილისთვის გულს ველარ გაუძლია და ტრიბუნაზე არაერთი გულშემატკივარი გარდაცვლილა...

გუშინ ვერის ბაღში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატს ვეტერანი ქუთაისელი ფალავანი ვლადიმერ ზვიადაძეც ესწრებოდა და თავის ვაჟს გულშემატკივრობდა — გიორგიმ 60 კილოგრამი წონის მეოთხედფინალში ლამაზად კი გაიმარჯვა, მაგრამ ბრძოლის დამთავრება და მამის უცაბედი გარდაცვალება ერთი იყო. ეჭიმები უმალ მასთან გაჩნდნენ, მაგრამ კაცი უკვე გათავებულყო...

საქველი

ალანია დემეტრეძე

მაკაბიზი გაუზგა



კლას ტოპიოლარი: პარიზში ჩემი ჩასვლა კალიან მნიშვნელოვანია

შეიცარიული ციებ-ცხელების პირველმა ტალღამ გადაიარა. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასული გუნდების ხელმძღვანელებმა და ქომაგებმა ევროშესარჩევზე მარჩიელობა ივლისამდე გადადეს, ჩვენს მდგომარეობაში მყოფებს კი...

გუშინინ რამდენჯერმე დავეუკავშირდ-
— როგორ შეაფასებთ კენჭის-
ყრას პირველი ემოციების ჩაცხრობის შემდეგ?
— რა თქმა უნდა, ურთულესი ჯგუფი შეგვხვდა. საფრანგეთი და იტალია მსოფლიო ფეხბურთის გრანდებს მიეკუთვნებიან. ძალიან ძლიერები არიან უკრაინელებიც და შოტლანდიის და ლიტვასაც არ ჰყავთ ცუდი გუნდები. ერთი სიტყვით, მძიმე ბრძოლები გველის, რომელთა შედეგიც მოგვიანებით გამოჩნდება.
— თუ იყო ნაკრები, რომლის ჩვენს ჯგუფში მოხვედრაც სხვებზე მეტად გუსურდათ?
— დიან, გერმანია.
— რატომ?
— ჯერ ერთი, ამის სურვილი ჰქონდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტსაც. გერმანიას ძლიერი გუნდი და მრავალრიცხოვანი ქომაგი ჰყავს მთელ მსოფლიოში, რაც საქართველოს ნაკრების მიმართ ინტერესს ერთიორად გაზრდიდა. თუმცა იგივეს თქმა შემძლია იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებებზეც — ისინი ხომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ყველა ფინალურ ეტაპზე ფავორიტთა შორის არიან.
— და პირიქით: ყველაზე მეტად რომელი ნაკრების მეტოქეობა არ გუსურდათ?
— ალბათ საბერძნეთის. ეს გუნდი ხომ ევროპის მოქმედი ჩემპიონია.
— რას ნიშნავს თქვენთვის გლახვოს „ჰემპდენ პარკზე“ დაბრუნება, სადაც ჩემპიონთა ლიგის ფინალი წააგეთ?

ით კლას ტოპიოლარს, თუმცა თავაზიანი უარი და ბოდიში მივიღეთ — ჩვენი ნაკრების მწვრთნელს ინტერვიუზე თანამემამულე კალმოსან თუ ელექტრონული მედიის ცოცხალი რიგი უდგას. ჰერ კლასთან გუშინ ვისაუბრეთ და, თავადაც დარწმუნდებით, რამდენიმე მოულოდნელი პასუხი თუ შეფასებაც მოვისმინეთ...

და მივეცეთ თამაშის საშუალება და თვალის სისტემატურად უნდა მივადევნოთ. ეს ბიჭები ხომ ქართული ფეხბურთის მომავალია.
— რა ინფორმაცია გაქვთ პორტუგალიდან, სადაც ახალგაზრდულ ნაკრებზე დასაკვირვებლად რაღაც მინგე და თქვენი ძმა ჰაინცი იმყოფებიან?
— მთლად სახარბიელო ინფორმაცია არ მაქვს. ვერ ვიტყვი, რომ პორტუგალიაში წარმატებულად გამოვედით.
— საქართველოს ნაკრებში დანიშნვის შემდეგ, ალბათ, გაიზარდა ჟურნალისტთა ინტერესი თქვენ მიმართ. იტალიელები და ფრანგები უკვე დაგვიკავშირდნენ?
— ინტერესი ძალიან დიდია. ჩემი გრაფიკი ძალიან გადატვირთულია და ამის დასტურია ისიც, რომ გუშინ ჩვენი საუბარი ვერ შედგა. ერთ-ერთ გერმანულ ტელეარხზე ვიყავი მიწვეული. ფრანგების და იტალიელების გარდა, შოტლანდიელებიც დიდ ინტერესს იჩენენ — ალბათ იმავე საში წლის წინანდელი შეხვედრიდან გამომდინარე.
— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ხშირად ხვდებით?
— ხშირად არა, თუმცა მუდმივ კონტაქტი კი გვაქვს. ის ამჟამად ბერლინშია. ხუთშაბათს მე და ბატონი პრეზიდენტი გერმანულ კოლეგასთან საქმიან სადილზე ვართ მიპატიჟებული.

ანთლოურ შეკრებაზე მყოფ ვლადიკავაზის „ალანიას“ გუშინ ერთი ფეხბურთელი გამოაკლდა — გიორგი დემეტრეძე ისრაელში გაემგზავრა და კარიერას თელ ავივის „მაკაბიში“ გააგრძელებს. „მაკაბის“ საქართველოს ნაკრების ფორვარდით დაინტერესებაზე თავად „დემეტრე“ ვვითხრა რამდენიმე ხნის წინ. ეს მცირე ინტერვიუც გიორგის აეროპორტში წასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩამოვართვი, საუბარი კი მძლივლად გაგვაწყვეტინა, ვაკვირდებით...

— ესე იგი, გადაწყვეტილი ამბავია?
— კი, ხვალ დილით სამედიცინო შემოწმებას გავევლი და კონტრაქტსაც გავაფორმებ.
— რამდენი ხნით მიდიხარ?
— ჯერჯერობით, ზაფხულამდე და მერე კონტრაქტის ვაგრძელებაც დავილაპარაკებთ.
— მუსლი რომ გაწუხებს, ვა არ იმოქმედებს შენი და „მაკაბის“ შეთანხმებაზე?
— არა. ჩემი მუსლის ამბავი „მაკაბიში“ იციან და სამედიცინო შემოწმებასაც იმეტომ ვავლივარ, რომ დაადგინონ, ოპერაცია მჭირდება თუ არა.
— და თუ დაგჭირდა?
— ოპერაციას „მაკაბი“ თავისი



ხარჯებით გამოიკეთებს. ეგაა, დაახლოებით ერთი თვე გამოიცდება, თუმცა, არა მგონია, ოპერაციამდე მივიღეს საქმე.
— „ალანია“ იოლად შეგვლია?
— რასაც ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ ამბობენ ხოლმე: დიდი მადლობა, ძალიან დაგვაკლდები, მაგრამ ასე ვარჩიეთ...
...საუბარი აქ გაგვაწყვეტინეს, სასტუმროდან კი გიორგი დემეტრეძე „ამერის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩინხაძემ და ავსტრიული „შტურმის“ თავდამსხმელმა დავით მუჯირმა გააცილეს.
გიორგი დარჯანი
ანთალიიდან

ინგლისი
პრემიერლიგა. XXIV ტური
სანდერლანდი 0:3 მიდლსბრო
ჩარლტონი 0:0 ვესტ ბრომვიჩი
ფულჰამი 1:0 ტოტენჰემი
უიგანი 1:1 ვებრტონი
ჩემპიონატი. XXXI ტური
ბრანტონი 0:0 ბარნი
პარდიფი 1:1 მილუოლი
პალი 1:2 ჰოვინგტონი
იფსვიჩი 1:1 ლიფსი
პრესტონი 2:0 პრ. პალასი
ჰინინგს პარკი 2:3 ლესტერი
უესდნი 0:2 ლუთონი
ალიგუთი 2:1 საუთჰემპტონი
რეინგზი 4:0 ნორვიჩი
აირველი ლიგა
გაღაღაზული მატჩები
დონსი 1:0 ნოტინგემი
სუონსი 1:2 ჰილინგბერი
სუინდონი 1:0 უოლსოლი
მეორე ლიგა
გაღაღაზული მატჩები
როპერსი 3:3 ლეიტონი
ნორთჰემპტონი 0:0 უიკონგი
შირსუპერი 1:1 მაკლსფილდი
სტოკპორტი 1:1 ტროკი
კონფედერენსლიგა
გაღაღაზული მატჩები
ბრანისი 2:3 ბარტონი
ჰერაფორდი 3:0 კემბრიჯი

საფრანგეთი
თასის მეთამაშობა
პორდო 2:1 სენ ბრატინი
ლა დუშერი 0:0 დ.დ. (პენ. 5:4) სტრასბური
გილიონი 0:2 ნანტი
რენი 1:0 ლანსი

თურქეთი
თასის ჯგუფური მატაჩი
III ტური
მარსინი 0:1 მალათია
ერშინი 0:0 ფანერბაჰჩი

საბერძნეთი
თასის 1/4 ფინალი. I მატაჩი
ლარისა 1:0 აკრატითონი

იტალია
თასის მეოთხედი ფინალი
საპასუზო მატაჩი
პალერმო 3:0 მილანი (0:1)

აფრიკის მსოფლიო თასი 2006
D ჯგუფი. III ტური
განა 1:2 ზიმბაბვე
ნიგერია 2:1 სენეგალი
საბოლოო ტურნირი
ნიგერია 3 3 0 0 5:1 9
სენეგალი 3 1 0 2 3:3 3
განა 3 1 0 2 2:3 3
ზიმბაბვე 3 1 0 2 2:5 3
მეოთხედი ფინალი: 3-4 თამაშობა
ეგვიპტე — კონგო დრ გინეა — სენეგალი
კამერუნი — კოტ დივუარი ნიგერია — ტუნისი

● *123#

- სიანსა
- ცოტობა
- მანქანები
- ნახაობები
- 18 +

- ჰომოსკოპი
- ჰანტიბაქტერიული
- ფაბრიკა
- ანონი

GEO
ჭამ



მიქსი
MIX

● wap.geocell.com.ge

- ჰომოფონიური მანქანები
- MP3
- ფაბრიკა
- ფაბრიკა
- ჰომოსკოპი
- თამები

- თამები
- ჰომოფონიური
- 18+
- ჰომოსკოპი
- ფაბრიკა
- ანონი
- ჰანტიბაქტერიული



რა საერთო აქვთ ასათიანს, ბაჯოს და ზიდანს?

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი მცველი მალხაზ ასათიანი გუნდთან ერთად ესპანეთშია — რკინიგზელებმა მანამდე აბუ-დაბიში გაიარეს შეკრება, ახლა კი პირინეის ნახევარკუნძულს სტუმრობენ. თუმცა ამჯერად „ლოკომოტივს“ გვერდს ავუვლით და მოვუსმინოთ, რას ფიქრობს მალხაზი საქართველოს ნაკრებზე და მიახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე.

„სამწუხაროდ, ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გავვლით. რას ვიზამთ, ახლა უკრაინას ვუქომაგებ. ძალიან მიყვარს იტალიაც და, იმედია, ეს გუნდები წარმატებას მიაღწევენ“ — ასათიანს იტალიური ფეხბურთი ბავშვობიდან იზიდავს, მისი საყვარელი ფეხბურთელი კი რობერტო ბაჯოა, რომელიც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაამახსოვრდა. მაშინ მალხაზი 13 წლის იყო.

და რას ფიქრობს საქართველოს ნაკრებზე 24 წლის მალხაზი, ვის-

აც ქართველმა და, სხვათა შორის, რუსმა ქომაგებმაც „ქართველი ზიდანის“ შეარქვეს?

„წინა შესარჩევი ეტაპი კარგად დავიწყეთ, მაგრამ მერე ყველაფერი აირია, გუნდი გუნდს აღარ ჰგავდა. ახლა ახალი მწვრთნელი გვეყავს და იმედი მაქვს, ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელად ვიბრძობ. ეს არის ჩემი ოცნება“.

რამდენიმე წლის წინ მალხაზს მეორე ოცნებაც ჰქონდა — ჩემპიონთა ლიგაში თამაში, თუმცა „ლოკომოტივთან“ ერთად ეს უკვე აიხდინა.

„კლუბი მაინც კლუბია, ნაკრებში მიღწეულს კი სხვანაირი გემო აქვს. მე სანაკრებო წარმატებები უფრო გამახარებს და, მგონი, ამით ახალს არაფერს ვამბობ“ — ასე ფიქრობს მალხაზ ასათიანი, რომელსაც შანსი აქვს, პირველად თავის კარიერაში, ეთამაშოს იტალიის ნაკრებს და ეს მისთვის ორმაგი გამოწვევაა.

ბაბა ზალაგაბერიძე

ხიზანიშვილს მუხლაა შეუსთლა

დღეს ინგლისური პრემიერლიგის 24-ე ტურში „ბლეკბერნი“ „მანჩესტერს“ მასპინძლობს, ბლეკბერნელი ზურაბ ხიზანიშვილი კი ვერ ითამაშებს. ერთი კვირის წინ ეს გუნდები ლიგის თასზე შეხვდნენ ერთმანეთს, ამ უქმეებზე კი „ბლეკბერნი“ ასოციაციის თასზე „ვესტ ჰემს“ გაეჯიბრა და ზურამ ორივე მატჩი სრულად ითამაშა, არც ყვითელ-წითელი ბარათები მიუღია, თუმცა...

— „მანჩესტერთან“ მატჩში ნაოპერაციევი მუხლი ვიტყვინე, მაგრამ „ვესტ ჰემთან“ მაინც ვითამაშე, რადგან ჩვენს მეორე ცენტრალურ მცველ რაიან ნილსენს თამაში არ შეეძლო. ახლა კი მუხლი ისე მაქვს, რომ დასვენება მჭირდება და „მანჩესტერთან“ ვერ ვითამაშებ. დღეს არ მივარჯიშებ და ხვალაც ვერ ვივარჯიშებ. ამ მუხლზე მაშინ გავიკეთე ჯვარედინი იოგების ოპერაცია, როცა „დანდიში“ ვითამაშობდი და სიფრთხილე მმართვეს. სერიოზული არაფერი მჭირს და პრემიერლიგის მომდევნო ტურში ალბათ ვითამაშებ — გვითხრა გუმინ ხიზანიშვილმა.

დავით თაგარათილაძე

ფოფხაძე პატარაში გაიზარდა

არც „ლარისა“ და არც „ირაკლისი“ — გიორგი ფოფხაძე პირულის „ოლიმპიკოსში“ დარჩება და დუბლმედგენლობაში იქნება. იქნება, მაგრამ ითამაშებს თუ არა, ეს ბოლომდე გარკვეული არაა. როგორც იცით, ბერძნულ კლუბებს ხუთ არაევროკავშირულზე მეტის ყოლის უფლება არა აქვთ და ლიმიტს სწორედ ფოფხაძე „ეწირება“.

ამას წინათ „ოლიმპიკოსის“ მთავარმა მწვრთნელმა ტრონდ სოლიედმა გვითხრა, ლიმიტი დუბლმედგენლობასაც ეხება, ანუ სანამ რომელიმე ოლიმპიკოსელი არაევროკავშირული ორმაგ მოქალაქეობას მიიღებს, იქამდე ფოფხაძეს თამაში არ შეეძლება. შეგახსენებთ, რომ პირულის ნიკერიელი არუნა ბაბანგიდა სამ თვეში ევროკავშირელის პასპორტს ჩაიხუტებს, რაც ერთგვარი შანსია 18 წლის ქართველი მცველისთვის.

გიორგიმ კი გუმინ გვითხრა, ჩემი კონტრაქტი „ოლიმპიკოსის“ პრეზიდენტთან გაფორმდა, ერთ კვირაში რაღაც პროცედურები შეიძლება გატარდეს, რის შემდეგაც დუბლებში თამაშის ნებას დამრთავენო.

„თავს ვატყობ, რომ დღითი-დღე ვუმატებ. „ოლიმპიკოსის“ ძირითადში თამაშს ვიმსახურებო, ამას როგორ ვიტყვი, დუბლებში კი პრაქტიკა მომეცემა“ — გვითხრა ფოფხაძემ, რომელიც ჯერ დუბლებს ვერ გასცდება, მაგრამ „ოლიმპიკოსის“ პირველ გუნდთან ერთად კი ვარჯიშობს.

და რატომ არ გაანათხოვრეს ქართველი სხვა ბერძნულ კლუბში? ეს ფოფხაძესაც გაუკვირდა, მაგრამ, როგორც თავად თქვა, ტრონდ სოლიედს მოუსურვებია მისი დატოვება.



ილია ნანოხაშილი

სფფ-ის საკლუბო ლიცენზირებაში დასაქმებულ პირთა სწავლება-სემინარების შესახებ

2006 წლის 25-28 იანვარს, სფფ-ის საკონფერენციო დარბაზში საკლუბო ლიცენზირების განყოფილების ხელმძღვანელობით ჩატარდა სწავლება-სემინარები საკლუბო ლიცენზირების საკითხებზე. მასში მონაწილეობდნენ ლიცენზირების თანამშრომლები, საფეხბურთო კლუბებში ლიცენზირებაზე პასუხისმგებელი პირები და ფინანსისტები. სემინარი შედგებოდა 11 მოდულიდან:

1. საკლუბო ლიცენზირება საქართველოში;
 2. სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სისტემა;
 3. დებულება სადისციპლინო საწესდებოების შესახებ (პროექტი);
 4. სპორტული კრიტერიუმები;
 5. ინფრასტრუქტურული კრიტერიუმები (ორ ნაწილად);
 6. საკადრო-ადმინისტრაციული კრიტერიუმები;
 7. სამართლებრივი კრიტერიუმები;
 8. ფინანსური კრიტერიუმები;
 9. საკლუბო ლიცენზირების პერსპექტივები;
 10. ლიცენზირების სტანდარტი;
 11. ლიცენზირების სისტემის შიდა კონტროლი.
- სემინარი მიზნად ისახავდა მონაწილეთა მიერ საკლუბო ლიცენზირების მნიშვნელობის გაცნობიერებას; ლიცენზირების მოთხოვნების მაღალ დონეზე ათვისებას; მონაწილეთა მხარეების (ლიცენზიარული ცენტრები) წარმომადგენლების გაცნობა-დაახლოებას; დისკუსიის ქართულ ფეხბურთში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზების ძიებას; განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებების განსაზღვრას ქართული და ევროპული ფეხბურთის საერთო ამოცანებიდან გამომდინარე.

ბშიც დააფიქსირეს საკუთარი აზრი ჩატარებული ღონისძიების შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო, დამსწრეთაგან ძალიან დადებითი გამოხმაურება მივიღეთ. გამოითქვა სურვილებიც, რომელსაც სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების ხელმძღვანელები განიხილავენ და გაითვალისწინებენ მუშაობის პროცესში.

მასმედიის წარმომადგენლებისთვის დაგეგმილი იყო პრესკონფერენციის გამართვა. თუმცა, მოწვეულთაგან ზოგიერთმა საინფორმაციო საშუალებამ, სამწუხაროდ, ვერ უზრუნველყო ჟურნალისტის მოვლინება ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების გასაშუქებლად და პრესკონფერენციაც აღარ ჩატარდა.

სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ, ზაგზასმით აღნიშნავს საქართველოში საკლუბო ლიცენზირების მნიშვნელობას და აქტუალობას, აგრეთვე, მასმედიის როლს არსებული პრობლემების დროულად მოგვარებაში. იმედია, ინფორმაციის გამავრცელებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელები გაითვალისწინებენ ზემოაღნიშნულს და მომავალში სათანადოდ გააშუქებენ საქართველოში საკლუბო ლიცენზირების მიმდინარეობას.

ლიცენზირების კომიტეტი


თქვენი ინტეხვიუ

კლავს ტოპეიოლერთან

თქვენი კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტომპიოლერი იქნება.

კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვანოდოთ და პერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



მედიკალი
ბიზნისი

პატარა ლეო და დიდი პლანეტა

სამუელ მტო აფრიკის თასზე წავიდა და ალბათ ამიტომაც გამოჩნდა ეკვიანი ხალხი, რომელმაც თქვა, „ბარსელონას“ უახლოეს ტურებში მეტოქის კართან გაუჭირდება.

გაუჭირდა მერე? თუ ბოლო ტურში მალიორკაზე ჩატარებული თამაშის მიხედვით ვიმჯავლებთ, არა. კატალონიელებმა 3:0 მოიგეს და სამიდან ორი შეცვლაზე შესულმა ლეო მესიმ გაიტანა. ჰოდა, მივაღვივებთ კიდევ ჩვენი წერილის თემას: შარშან, ივნისში, 20 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი აღმოჩენა სწორედ არგენტინელი მესი გახლდათ. იგი თანაბრად ძლიერი გამოდგა როგორც შეტევის ბოლოს, გოლის გატანაში, ასევე ოდნავ უკნიდან მომენტების შექმნისას. თან საინტერესოა, რომ ახალ ვარსკვლავს 18 წელი ჩემპიონატის მსვლელობისას შეუსრულდა და ჩვენც გადავწყვიტეთ, უფრო ახლოს გავაცნოთ იგი — ყმაწვილი, რომელზეც პლანეტა ალაპარაკდა.

და რაკილა ასეა, ნულა გადავდებთ და გაიცანით: ლეო მესი, ბიჭი სანტა ფედან, რომელზეც, ბევრი უწინდელი ვარსკვლავისგან განსხვავებით, ვერავინ იტყვის, სიღარიბეში დაიბადა და ძონძებში იზრდებოდა. მისი ბიოგრაფია აბათილებს იმ აზრს, თითქოს ფეხბურთი მკაცრად სოციალური ფენომენია და დიდი მოთამაშეები სიღარიბისგან თავის დაღწევისთვის ბრძოლაში იბადებიან. მსგავსი არაფერი ყოფილა, მესის მშობლებს ფული არ აკლდათ და შეილი მაინც ბურთის გაყი გამოუვიდათ. დაიბადა თუ არა, ლეოს ერთადერთი სათამაშო იქვე გამოიკვეთა. ამიტომაც მიიყვანა მამამ ფეხბურთზე გაუგონრად აღრეულ ასაკში, ხუთი წლისა. ოდნოდ ერთია, გუნდს, „გრანდოლის“, რომელმაც ბავშვი აიყვანა, ლეოს მამა ხორხე ხელმძღვანელობდა.

მერე შვიდი წლის მესი ძმის, როდრიგოს დაჟინებით ქალაქის მთავარი გუნდის, „ნიუელს ოლდ ბოისის“ სკოლაში გადაიყვანეს. „ნიუელს ოლდ ბოისის“ ბავშვთა

გუნდის მწვრთნელი ენრიკე დომინგესი: „ლეო ბურთს სრულიად წარმოუდგენელ რამეებს აკეთებინებდა. ასეთი უცნაურობა მანამდე მხოლოდ ერთი ადამიანის ცქერისას მქონდა შემჩნეული. ეს ადამიანი დიეგო გახლდათ“.

და შეარქვეს კიდევ ახალი მარადონა, ოდნოდ... 11 წლისას ექიმებმა ფრიად უსიამოვნო რამ დაუდგინეს — მის ორგანიზმს ზრდის ჰორმონები აკლდა, რის გამოც ძვლის ქსოვილი ვერ ვითარდებოდა. სწეულების დასაძლევად საჭირო იყო მკურნალობა, რომელიც ორ თვეში ერთხელ 1800 დოლარს ითხოვდა და ამ თანხას წელიწადნახევრის განმავლობაში მამის სამსახური იხდიდა, მაგრამ შედეგი საზარბიელო არ გახლდათ. საბრალო ბავშვი დღეში ორ ნემსს იკეთებდა და მაინც თანატოლთა შორის ყველაზე ტანმორჩილად რჩებოდა.

მოედანზე კი იმდენად განსხვავებული სურათი იყო, რომ პატარა

მესის შეძენა „რივერ პლეიტს“ მოუწია. სხვა საქმეა, რომ ლეო „რივერ პლეიტში“ ვერ გადავიდა, რადგან მშობლებს ძალიან ბევრი საბუთის შეგროვება მოსთხოვეს და საერთოდ, „რივერ პლეიტში“ გადასვლა კი არა, ხორხე მესის ვაჟის მკურნალობისთვის შემოსავალი აღარ ჰყოფნიდა, რის გამოც ოჯახი საცხოვრებლად ცოლის ნათესავებთან ესპანეთში, კერძოდ, კატალონიაში, უფრო ზუსტად კი, ლერიდაში გადაბარვდა.

ჰოდა, ასე მოხვდა ლეო „ბარსაში“, სადაც შედგა თუ არა ფეხი, ყველას დაანახვა, რომ ორი-სამი წლით უფროსებზეც უკეთ თამაშობს ბურთს. „საოცრებაა, ეს ბიჭი დაუყოვნებლივ უნდა ავიყვანოთ“ — ასეთი ყვირლით შევარდა კარლეს რექსანი შეფების კაბინეტში. მკურნალობის ხარჯებიც მილიანად „ბარსელონამ“ იკისრა.

ასე და ამგვარად, პირველად კატალონიური კლუბის მასსურა მე-

სიმ 2000 წელს ჩაიკვია, როდესაც სიმალლით 140 სანტიმეტრი გახლდათ და სათადარიგოთა სკამიდან მიწას ფეხებს ვერ აწვდებდა. იმ სეზონში მან 37 თამაშში 30 გოლი შეაგლო, მოიგო კატალონიის თასი, რომლის ფინალშიც ორი გოლი გაიტანა და ბოლონიაში ყმაწვილთა ტურნირზე დაიბრუნა ყველა, „იუვენტუსის“ ჩათვლით, რომელსაც „ბარსამ“ 4:0 აგებდა. სხვათა შორის, იმ ტურნირზე ბურთების სხვაობა 38:0 გახლდათ „ბარსელონას“ სასარგებლოდ.

დიდ „ბარსელონაში“ მესის დებიუტი შედგა 2003 წელს. ეს „დრაგაუზე“ „პორტუსთან“ ამხანაგურ შეხვედრაში მოხდა და იმ დღეს მესი შეიქნა სიყმაწვილით მესამე კლუბის ისტორიაში.

რაც შეეხება ნაკრებს... ბარემ კი უნდოდათ ესპანელებს მისი ნატურალიზაცია, მაგრამ უკვე 169 სანტიმეტრიანი ბიჭისთვის ყველაფერი იმთავითვე ნათელი იყო. ჰოდა, ზემოთ 20-წლამდელთა ჩემპიონა-

ტი რომ ვახსენებთ, იქ, პოლანდიაში, ბარსელონელი არგენტინელი ჩემპიონი ხომ გახდა და გახდა, საუკეთესო ბომბარდირობას და მოთამაშეობასაც შეწვდა.

აი, დიდ ნაკრებში კი მართლაც საოცარი დებიუტი გამოუვიდა: უნგრეთთან შეხვედრის 30-ე წამზე გააძევეს მოედნიდან. მიზეზი: მეტოქე უკნიდან მოჩენა.

შემდეგ კი იყო ის გახმაურებული საპასპორტო ამბავი, რომელიც, ვფიქრობთ, ყველამ იცის და ამდენად დაწვრილებით კი არ მოგვეცებით, მხოლოდ შეგახსენებთ. საქმე ის არის, რომ ესპანურ პრიმერადივიზიონში თითოეულ გუნდს უნდა ჰყავდეს არაუმეტეს 25 ფეხბურთელისა და მათგან არვეეროპელი სულ სამი უნდა იყოს. ეს სამი ადგილი „ბარსაში“ რონალდინიოს, ეტლოს და რაფაელ მარკესს აქვთ დაკავებული, ასე რომ, მესის ერთადერთ იმედად 13 წლიდან ესპანეთში ცხოვრებადა რჩებოდა, მაგრამ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ კატეგორიული უარი განაცხადა. ჰოდა, გამოვიდა, რომ ვარსკვლავი ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა „ბარსას“ შემადგენლობაში, ესპანეთის ჩემპიონატში კი ვერა.

ისე, თეორიულად, მესის და კლუბს პროფესიული კი არა, „საყმაწვილო“ კონტრაქტი რომ ჰქონოდათ გაფორმებული, ვადამთიელობის კვოტა ვეღარ იმოქმედებდა, მაგრამ რა გინდა, ქნა, როდესაც კონტრაქტი უკვე იყო და ზედ დიდი ასოებით ეწერა სიტყვა „პროფესიული“.

რა გინდა, ქნაო და, „ბარსა“ ერთბაშად ორი მიმართულებით ამუშავდა: ბიჭისთვის სასწრაფოდ უნდა ეშოვნათ ევროპული პასპორტი, იტალიური ან ესპანური. ესპანური გასაგებია, რატომაც, ხოლო იტალიური... კარგად წარმოთქვით გვარი მესი და აქაც ყველაფერი გასაგები გახდება.

გაიმარჯვა ესპანურმა ვარიანტმა, რადგან ბოლონასს ხუან კარლოსის სამეფოში კატალონიელებისადმი ლიბერალური პოლიტიკაა მოდამი.

ბაბუნა გილია



ზაზა და ზმანები

ფარულია ნბა-ს არაოფიციალურ პოლიუმზე



ზაზა ფაიშულია



მაიკლ ჯორდანი



ტონი პარაკევი

ნბა სპორტული ინტერესის ფარგლებს კარგა ხანია, გასცდა. ამერიკული კალათბურთი მხოლოდ ის აღარაა, ამან იმას მოუგო თუ იმან ამას. ნბა შოუა, წარმოდგენაა, დიდი, ძალიან დიდი ფულია და სადაც დოლარები უხვად მოედინება, იქ თითოეულ წვრილმანს აქცევენ ყურადღებას — მაგალითად, ჩაცმულობას.

რა უნდა მილიონების ბურთობით მშობნელ ახალგაზრდას? კარგი სახლი, მანქანა, მეგობარი გოგონა და... რა თქმა უნდა, გემოვნებიანი სამოსი, ანაც თბილისელებისთვის უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, „ზმანი“.

ვინ როგორ „იზმანება“, ამას ნბა-შიც დიდი მნიშვნელობა აქვს. კალათბურთელებმა ამერიკაში ფულის პრობლემა რა არის არ იციან და

თავიანთ გემოზე იცმევენ. იქ არავის უკვირს, თუ კოსტიუმში 2000 დოლარია გადახდილი, ნბა-ს მოთამაშეების უმრავლესობას ყველა საბოლოო სახლისა და რავინდარა ფასის ტანსაცმელზე მიუწვდება ვაიბე. საქმე ისაა, ვინ როგორ, რა გემოვნებით ჩაიცმევს და მერე მთელმა ამერიკამ იცის, რომ, ვთქვათ, კობი ბრაიანტი მაგარი „ზმანი“ა, რუბენ ბუმბიტე-ბუმბიტეს კი ჯამბაზივით აცვია.

ნბა-ში სპეციალური პროგრამა თუ შეჯიბრი არსებობს, რომლის მიზანაც ყველაზე გემოვნებიანად ჩამცმევის გამოვლენაა. ყოველ კვირას თავისი გამარჯვებული ჰყავს და გასული შვიდდღეული ჩვენთვის იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ნობინანტთა შორის ზაზა ფაიშულიაც გაერია.

NBA.COM-ზე ის რვა მოთამაშე „გამოფინეს“, რომლებიდანაც ქომავებს კვირის საუკეთესო ჩამცმელი უნდა გამოვლინათ. სამწუხაროდ, შარვალი-კოსტიუმში გამოწვობილ ქართველ ცენტრს ქომავთა მხოლოდ 8 პროცენტმა მისცა ხმა და ჩვენთანაც ბოლო ადგილს დასჯერდა.

გასული კვირის გამარჯვებული „სან ანტონიოს“ ფრანგი გამთამაშებელი ტონი პარაკევი გახდა, მომდევნოზე ჩიკაგოელი ბენ გორდონი, მესამეზე კი დენვერელი კარმელი ენტონი გავიდა.

ეს გახლდათ ამ სეზონის მე-11 „ზმან-კვირული“, ჩვენ კი აქამდე გამარჯვებულთაგან ერთ-ერთის, მაიკლ ჯორდანის „ფეშენ-ფოტოსაც“ შემოგთავაზებთ.

ირაკლი პერტაია

შენ გეგლიან?

ჩემპიონატის პრე-პრეტი საუკეთესო ცენტრი უზუნდოდაა

საკოვლოთაო აზრით, საქართველოს ჩემპიონატში ცენტრების ნაკლებობაა. არიან გუნდები, რომლებსაც ფარქვეშ ძალიან უჭირთ და ამ დროს საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი კახა შენგელია უგუნდოდაა. მან ეს სეზონი აუტსაიდერ „ქუთაისში“ დაიწყო, უხელფასოდ ირჯებოდა, „ავიამშენში“ ელოდნენ და იმერლებთან ფორმის შესანარჩუნებლად თამაშობდა, თუმცა...

— უგუნდოდ ვარ და ჯერჯერობით არავითარი პერსპექტივაც არ ჩანს — გვითხრა კახა შენგელიამ.

— თითქოს „ავიამშენთან“ იყავი შეთანხმებული?

— კი ვიყავი, მაგრამ აღარ დამიძახეს და ჩემით ხომ არ მივიდოდი, არიქა, მათამაშეთ-მეთქი. დღესაც ველი, რომ დამიძახებენ, მაგრამ როგორც ჩანს, „ავიამშენში“ გადაიფიქრეს ჩემი აყვანა.

— მაშ რას აპირებ? სხვა კლუბებსაც უნდათ გამოცდილი მეფარეები...

— ჯერჯერობით არც ერთი გუნდიდან არ შემხმინებია, მე კი ჩემით არავისთან მივალ.

— რა გამოდის, კალათბურთის ემშვიდობები?

— თუ არავინ მიმიწვევს, ძალიან არ მინდა, მაგრამ თამაშს თავი უნდა დაეხებოდ. ისე კი, კალათბურთის არ ვმორღები, დიდუბის მანქანა ბაეშეებს ვავარჯიშებ.

— სეზონის წინ უცხოური ვარიანტებიც გქონდა?

— ახლა აღარ გამოვა უცხოეთში წასვლა. სადაცაა,



სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება, გუნდებს შემაღენლობა უკვე დაკომპლექტებული ჰყავთ. იმედი მაქვს, რომელიმე ქართული კლუბი მიმიწვევს და მოედანს დაუბრუნდები. ასაკი არ მაკლია, მაგრამ ჯანდასრულად მომდევნო და რაც მთავარია, თამაშის დიდი სურვილი მაქვს.

ირაკლი პერტაია

NBA რეპუტაციის ჩემპიონატი

დაბალი დობა

ატლანტას ნიუ იორკთან ბასდის

30 იანვარი

ატლანტა 120:101 ნიუ იორკი
 ატლანტა: აივი, ჯონსონი (24), სმიტი (9), პარინგტონი (24 ქულა, 10 მოხსნა), ვაზულისა (18 წუთი, 5 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა); ჩილდრესი (15), სტუდემიერი (13), უილიამსი (13), ლუ (11), ბატისტა (2), ედვარდსი (2)

ნიუ იორკი: მარბერი (8), რინარდსონი (2), ტილორი (6), როუზი (8), კარი (14); ლი (18), ბატლერი (15), ფრაი (13), რობინსონი (9), კროუფორდი (8)

მაიაში 118:114 კლიპერსი
 მაიაში: ვეიდი (28 ქულა, 11 მოხსნა), ონილი (25), პეიტონი (19), პოუზი (17)

კლიპერსი: ბრენდი (31), მობლი (28 ქულა, 11 მოხსნა), კასელი (18)

შარლოტი 94:103 კლივლენდი
 შარლოტი: ანდერსონი (14)

კლივლენდი: ჯეიმსი (30), ილგაუსკისი (19)

მინესოტა 110:85 პოსტონი
 მინესოტა: ბანქსი (20), ბლუნტი (15 ქულა, 10 მოხსნა), გარნეტი (14)

პოსტონი: შიერბაკი (22), პირსი (21)

ნიუ ორლეანი 94:93 მილუოკი
 ნიუ ორლეანი: ვესტი (24 ქულა, 15 მოხსნა), კლაქსტონი (19), პოლი (16)

მილუოკი: რედი (32), ფორდი (17)

იუტა 70:79 სან ანტონიო
 იუტა: კოლინზი (15 ქულა, 11 მოხსნა)

სან ანტონიო: დანფინი (19), პარკერი (17)

სიეტლი 111:116 პორტლენდი
 სიეტლი: ლუისი (27), ალენი (26), რიენდორი (14 ქულა; 10 პასი)

პორტლენდი: რენდოლფი (32), დიქსონი (15)

მემფისი 86:77 პიუსტონი
 მემფისი: ეტიენსი (19), მილერი (17), გასოლი (16 ქულა, 11 მოხსნა)

პიუსტონი: მაკგრედი (23 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), პოვარდი (18), მინი (15)

„ნიუ იორკის“ თავკაცი, ლარი ბრაუნი, ადგილს ვერ პოულობდა: მისი გუნდი ბოლო მეოთხედის დასაწყისში 30 ქულით აგებდა, მერე ვისთან, ვინმე ბობოლასთან კი არა, უნიათო „ატლანტასთან“...

„ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩემს მოთამაშეებს ერთი სული ჰქონდათ, მატჩი, რაც შეიძლება, მალე დამთავრებულიყო და შინ წასულიყვნენ. არა მგონია, მათ შემყურეს სხვა წარმოდგენა შექმნოდა“.

„ატლანტა ჰოქსს“ ამ სეზონში ასე იოლად არავინ დაუმარცხებია. 19 ქულით მოგება ჯორჯიელთა რეკორდია და ძველ მიღწევას, 11-ქუ-

ლიან გამარჯვებას, თავადაც ხედავთ, 8 ქულით აღემატება. „ქორემა“ ძველი რეკორდით „ნიუ იორკთან“ დაამყარეს, როცა 122:111 მოუგეს და, სხვათა შორის, მაშინ ერთი თამაშისთვის ყველაზე ბევრი ქულის მოგროვება შეძლეს.

„რაც ამ გუნდში ვარ, ასეთ შემთხვევას ვერ ვიხსენებ — ამბობს „ჰოქსის“ ლიდერი ჯო ჯონსონი — მე საშუალება მომეცა, ბოლო 6-7 წუთი დამესვენა და მატჩი სხვებს ჩამეთავრებინათ“.

„ჰოქსის“ მეორე ლიდერი, ალ პარინგტონი:

„ჩვენთვის ყოველთვის პრობლემატური იყო ლიდერობის შენარჩუნება და ახლა ძალიან დადებითი გრძობა გვეუფლება, ეს რომ შევძელით“.

პარინგტონმა და ჯონსონმა ჯამში 50 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი და 5 ჩაჭრა დააგროვეს. რეიანად გაისარჯნენ მათი შემცველებიც — „ატლანტას“ სათადაროთა სკამის ანგარიშზე 56 ქულაა.

აი, ჯორჯიელთა „ჯორჯიელმა“ ცენტრმა, ზაზა ფაიშულიამ კი, მოკრძალებული წველილი შეიტანა საერთო საქმეში, ნიუიორკელ მეფარეებთან ჭიდილში ზაზამ მხოლოდ 5-5 ქულა-მოხსნის გაკეთება მოახერხა.

„ჰიუსტონ როკეტსს“ წოწოლა ჩინელი ცენტრი, იაო მინი, კი დაუბრუნდა, მაგრამ მანაც ვერ იხსნა ტენასელები მეფისეულ „გრიზლესთან“ მარცხისაგან. ვერც ტრეისი მაკგრეიდის მარჯვენამ გაუმართლა „რაკეტებს“. მათ ზედიზედ მესამედ წააგეს და კიდევ უფრო მყარად დაფუძნდნენ დივიზიონის ცხრილის ფსკერზე. ესეც სათქმელია, რომ „ჰიუსტონი“ დღემდე ცხრაჯერ შეხვდა თანადივიზიონელ გუნდს და მეცხრედ დამარცხდა. თუ მაკგრეიდმა და იაომ რამე არ მოიმოქმედეს, „რაკეტებს“ პლეიოფთან დამშვიდობება რეგულარული სეზონის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე მოუწევთ.

კობა ყოფნია

მთელი სპორტი ერთ ნიგნში

2500-მდე სტატია ✦ 4 ათასამდე ფოტო, 500-ზე მეტი ნახატი, ნახაზი, ცხრილი ✦ სპორტის ზაფხულისა და ზამთრის ყველა ოლიმპიური სახეობა: ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა ✦ 200-მდე არაოლიმპიური, ეროვნული, ტექნიკური და ტესტრემალური სახეობა, 50-მდე ქართული ეროვნული თამაშობები ✦ ზაფხულისა და ზამთრის ყველა ოლიმპიური თამაშები ✦ 1000-მდე ქართული და უცხოელი სპორტსმენის დოსიე ✦ სპორტულ ტრენინგთა განმარტებები ✦ ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე, სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე, ევროპის ქვეყნებზე, სპორტულ ბაზებზე ✦ უნიკალური ფოტოები და დოკუმალური სტატისტიკური მასალა ✦ რეკორდები ✦ ათასი სხვა რამ

პასუხი ყველა კითხვაზე

სპორტის ანციკლოპედიის შექმნის მსურველებს დაკავშირება: 37 28 51. მობ., 899 756 597; 877 444 221.

